

ოკუპირებულ აფხაზეთში 2017 წლის ივლისი, აგვისტო და სექტემბრის დასაწყისი საკმაოდ დატვირთული გამოდგა შიდაპოლიტიკური მოვლენების, ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის ფაქტებისა და კრიმინოგენული სიტუაციის გაუარესების თვალსაზრისით.

ოკუპირებული აფხაზეთის რეალობაში არსებობს რამდენიმე უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას და არაერთგვაროვან რეაქციას იწვევს აფხაზურ საზოგადოებაში.

მათ შორის **პირველი**, რუსეთის ფედერაციისა და ოკუპირებული აფხაზეთის მონაწილეობით ერთობლივი საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრის (ИКИ) შექმნაა, რომელსაც აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება საზოგადოებას წარუდგენს როგორც ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტურ მექანიზმს და **მეორე** - ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობისა და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ფაქტებია.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გაუარესებულმა კრიმინოგენულმა სიტუაციამ, ადამიანის უფლებების უხეშად დარღვევის მომატებულმა ფაქტებმა საგრძნობლად შეარყია დე-ფაქტო ხელისუფლების და კერძოდ, ე.წ. პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას ავტორიტეტი, ამ ფონზე ნათელია, რომ აუცილებელი გახდა ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის ინტერსების გამტარებელი დე-ფაქტო ხელისუფლების მხარდაჭერა, მისი პოზიციების გამყარება და საზოგადოებრივი აზრის შექმნა, რომ თითქოს მხოლოდ რუსეთის ფედერაციას შეუძლია ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე სტაბილური პოლიტიკური ვითარებისა და სოციალ-ეკონომიური მდგომარეობის შექმნა, ინვესტიციების გზით ინფრასტრუქტურული პროექტების გახორციელება (შეთანხმება მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ), გაუარესებული კრიმინოგენული სიტუაციის დარეგულირება (ერთობლივი საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრის შექმნა).

ოკუპირებული აფხაზეთის პარლამენტმა 2017 წლის 26 ივლისს მოახდინა იმ შეთანხმების რატიფიკაცია, რომელიც რუსეთისა და აფხაზეთის მონაწილეობით საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრის“ შექმნას ითვალისწინებს. აფხაზეთის „პარლამენტის“ სხდომაში მონაწილე 34 დეპუტატიდან საკოორდინაციო ცენტრის შექმნას მხარი 23-მმა დეპუტატმა დაუჭირა, ცხრა წინააღმდეგი აღმოჩნდა, ხოლო ორმა თავი შეიკავა. აღსანიშნავია, რომ ყოფილმა ე.წ. პრეზიდენტმა ალექსანდრე ანჭვაბმა და ყოფილმა ე.წ. შს მინისტრმა რაულ ლოლუამ, კენჭისყრისას, მხარი დაუჭირეს ერთობლივი ცენტრის შექმნის შესახებ კანონს და ამით თავისი მხარდამჭერების უკმაყოფილებაც გამოიწვიეს.

საკოორდინაციო ცენტრის შექმნის შესახებ ხელშეკრულებას 2017 წლის 18 მაისს, სოჭში, ხელი დე-ფაქტო შს მინისტრმა ასლან კობახიამ და რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ იგორ ზუბოვმა მოაწერეს. შეთანხმება წარმოადგენს „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“ ხელშეკრულების ნაწილს, რომელიც 2014 წლის 24 ნოემბერს, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა და ოკუპირებული აფხაზეთის პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ *გააფორმეს. (2017 წლის 9 სექტემბერს ერთობლივი საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრის დირექტორად ბესლან ფარულუა დაინიშნა <http://abkhazinform.com/>)*

რუსეთ-აფხაზეთის ერთობლივი ცენტრის პროექტმა სოხუმში უთანხმოება გამოიწვია და გააჩინა ეჭვი, რომ ცენტრის შექმნით რუსეთი რეგიონზე მეტ კონტროლს მოიპოვებდა. ამას ადასტურებს აფხაზურ ინტერნეტ გამოცემებში და სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული მრავალი პუბლიკაცია, სადაც ეს ნაბიჯი შეფასდა, როგორც „სუვერენიტეტისადმი“ მორიგი დარტყმა.

ერთობლივი „საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრის“ შექმნის თაობაზე აფხაზურ მედიაში და სოციალურ ქსელებში გამართული დებატების ფონზე ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე, 2017 წლის ტურისტული სეზონის მიმდინარეობისას, მოხდა რამდენიმე (მათ შორის მკვლელობა და გაუპატიურება) საშინელი სისხლის სამართლის დანაშაული.

ოკუპირებულ აფხაზეთში სამართლებრივი განუკითხაობის დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს დაკავებული კრიმინალური ე.წ. ავტორიტეტების ნათესავების, დაკავებულების გათავისუფლების მიზნით, შეკრების ფაქტი ქ.სოხუმის ე.წ. შსს-ს შენობასთან, სადაც გაისმოდა შეძახილები, „თუ დაკავებულებს არ გაათავისუფლებდნენ, საქმეში ჩაერთვებოდნენ კალაშნიკოვები (16.08.2017 *ApsnyLIFE* <http://www.apsnylife.ru/syuzhety/99-syuzhety/1938-nochnoj-skhod-u-mvd>). აფხაზურ ე.წ. მედიაში არ გახმაურებულა ის ფაქტი, რომ ე.წ. შსს-ს შენობასთან მივიდნენ დე-ფაქტო პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა და ე.წ. შს მინისტრი ასლან კობახია, რომელთაც სცადეს დამაბული ვითარების განმუხტვა. შეკრებილები დე-ფაქტო ხელისუფლების ხელმძღვანელებს შეურაცხმყოფელი შეძახილებით შეხვდნენ, მათ მოთხოვნას ყური არ უგდეს და ფაქტიურად გააგდეს იქიდან ისტერიკაში მყოფი რაულ ხაჯიმბა (*საკონტაქტო პირის მიერ მოწოდებული ინფორმაცია*).

რაულ ხაჯიმბას რომ ავტორიტეტი არ გააჩნია აფხაზურ საზოგადოებაში ამაზე დიდი ხანია საუბრობენ. ბევრი იმასაც ამბობს, რომ 2014 წლის გადატრიალება, ალექსანდრე ანჭვების ძალადობრივი განდევნა და რაულ ხაჯიმბას ე.წ. პრეზიდენტად არჩევა საბედისწერო შეცდომა იყო. არსებობს ინფორმაცია, რომ 2014 წლის მოვლენები ფინანსდებოდა ოკუპირებული აფხაზეთის პირველი პრეზიდენტის გარემოცვიდან, ე.წ. არძინბას კლანი, რომელშიც შედიან ლევან არძინბა (ვლადისლავ არძინბას ძმა), სვეტლანა ჯერგენია (ვლადისლავ არძინბას მეუღლე) და პავლე (პაშკა) არძინბა, რომელიც ოკუპირებულ აფხაზეთში რუხ კარდინალად მოიხსენიება (*Инцидент.org* <http://insider.org/politic/item/456-rusofob-iz-klana-ardzinby.html>).

რაულ ხაჯიმბასადმი უარყოფითი დამოკიდებულება, ე.წ. პოლიტიკელისთან დაახლოებული მოქალაქეების ვიწრო წრისა და ნათესავების გარდა, გამოიწვია უძრავი ქონების უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის მიყიდვასთან დაკავშირებულმა გაურკვეველობამ.

შეგახსენებთ, რომ 2016 წლის აპრილში, ე.წ. დეპუტატმა სერგეი შამბამ აფხაზეთის დე-ფაქტო პარლამენტში შეიტანა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე უძრავი ქონების გასხვისებაზე მორატორიუმის მოხსნას. მაშინ მოცემულმა ე.წ. კანონპროექტმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია ადგილობრივ მოსახლეობაში და ინტელიგენციაში.

ქალაქ სოხუმში გაიმართა აქცია, რომელზეც გამოვიდა აფხაზი აკადემიკოსი თეიმურაზ აჩუგბა, რომელმაც განაცხადა, რომ აფხაზეთში უცხოელების დასახლების საკითხის დაყენებაც კი არ შეიძლება. მან წაიკითხა მიმართვა, რომელსაც ხელს არაღიარებული რესპუბლიკის სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის 15 წარმომადგენელი აწერს და სადაც საუბარია, რომ "უცხოელებისათვის უძრავი ქონების მიყიდვა დაუშვებელია, რადგან ეს არის ქვეყანაში მასობრივი ჩასახლებისა და სახელმწიფოებრიობის დაკარგვის პირდაპირი გზა (18.04.2016 <https://eadaily.com/ru/news/2016/04/18/deputat-parlamenta-abhazii-dzhapua-snimaet-s-sebya-polnomochiya>).

აქციის შემდეგ დაიგეგმა დე-ფაქტო პარლამენტის საგანგებო სხდომის ჩატარებაც. თუმცა სადამოს უკვე ცნობილი გახდა, რომ სხდომა არ ჩატარდებოდა, რადგან ამ საკითხმა აფხაზურ საზოგადოებაში დიდი დაპირისპირება გამოიწვია, ე.წ. დეპუტატებმა მიიღეს გადაწყვეტილება, უცხოელებზე უძრავი ქონების გადაცემის შესახებ კანონპროექტის განხილვის შეწყვეტის თაობაზე. სერგეი შამბამ კი ე.წ. კანონპროექტი უკან გაიწვია (*Вопрос о продаже жилья в Абхазии иностранцам закрыт* <http://abkhaz-project.ru/?s=%D0%92%D0%9E%D0%9F%D0%A0%D0%9E%D0%A1+%D0%9E+%D0%9F%D0%A0%D0%9E%D0%94%D0%90%D0%96%D0%95+%D0%96%D0%98%D0%9B%D0%AC%D0%AF+%D0%92+%D0%90%D0%91%D0%A5%D0%90%D0%97%D0%98%D0%98+%D0%98%D0%9D%D0%9E%D0%A1%D0%A2%D0%A0%D0%90%D0%9D%D0%A6%D0%90%D0%9C+%D0%97%D0%90%D0%9A%D0%A0%D0%AB%D0%A2>).

ზემოაღნიშნული მოვლენების (მორატორიუმის მოხსნის შესახებ კანონპროექტის უკან გაწვევა) შემდეგ, 2016 წლის 1 აგვისტოს, ოკუპირებული აფხაზეთის პრეზიდენტმა დე-ფაქტო პარლამენტში

შეიტანა „უძრავ ქონებაზე უფლების სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ“ კანონპროექტი, რომელიც ავტორის (დე-ფაქტო ეკონომიკის სამინისტრო) განმარტებით, „შემუშავებულია უცხო ქვეყნებიდან ინვესტიციების მოსაზიდად და განიხილება როგორც გარდამავალი ეტაპი საკადასტრო აღრიცხვის ერთიანი სრულყოფილი სისტემის შექმნისა და უძრავ ქონებაზე უფლების რეგისტრაციის გზაზე“
(ვრცლად ბელმისაწვდომია რუსულენოვან ვებგვერდზე
01.08.2016http://presidentofabkhazia.org/about/info/news/?ELEMENT_ID=4941&sphrase_id=5116678).

უძრავ ქონებაზე უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზების უმეტესობას, როგორც სამხედრო ალავი, ქართველების 3-4 სახლი აქვთ მისაკუთრებული, თუმცა ამ სახლებში უმეტესად ისინი არ ცხოვრობენ, არც გაფორმებული აქვთ თავის სახელზე და ამიტომაც, რაულ ხაჯიმბას მიერ ინიცირებულმა კანონპროექტმა, რომლის მიხედვითაც ე.წ. მობინადრეები არარეგისტრირებულ უძრავ ქონებას ვერც გაყიდვიან და ვერც გააჩუქებენ, უარყოფითად იმოქმედა მათზე. აქედან გამომდინარე, ოკუპირებული აფხაზეთის მოქალაქეები დაჩქარებული წესით დაკავებულნი არიან უკანონოდ დაკავებული უძრავი ქონების გაფორმებით, რაც, ბოლო პერიოდში, ძალიან გართულდა და პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა. უძრავი ქონების ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს დამატებულბას მატებს ისიც, რომ 2017 წლის 1 იანვრიდან ფუნქციონირება დაიწყო ე.წ. „სასამართლო პრისტავების სამსახურმა“, რომელმაც ამ დღეებში უკვე დაიწყო უკანონოდ დაკავებული ბინებიდან ე.წ. მობინადრეების გამოსახლება (<https://www.ekhokavkaza.com/a/28729651.html>).

პრეზიდენტის მიერ პარლამენტში შეტანილი „უძრავ ქონებაზე უფლების სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ“ კანონპროექტი და „სასამართლო პრისტავების სამსახურის“ შექმნა, აფხაზურ საზოგადოებაში შეფასდა როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე უძრავი ქონების გასხვისებაზე მორატორიუმის მოხსნის წინაპირობა (*საკონტაქტო პირის მიერ მოწოდებული ინფორმაცია*), რამაც რაულ ხაჯიმბას ისედაც დაბალი რეიტინგი კიდევ უფრო დასწია.

გაუარესებულ კრიმინოგენულ სიტუაციას, უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ მოუგვარებელ სიტუაციას დაემატა კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების ირგვლივ განვითარებული მოვლენები და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ფაქტები.

იმის მიუხედავად, რომ 2016 წელს რაულ ხაჯიმბამ გააუქმა ე.წ. პრეზიდენტთან არსებული ადამიანის უფლებების დამცველის თანამდებობა და ოკუპირებულ აფხაზეთში შეიქმნა „დამოუკიდებელი“ ომბუცმენის ინსტიტუტი, რომელსაც დე-ფაქტო პარლამენტი ხმების 2/3 ირჩევს, ამ ინსტიტუტმა მაინც ვერ შესძლო ფუნქციონირება. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ის, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში ე.წ. სახალხო დამცველმა დიმიტრი მარშანმა, თანამდებობაზე დანიშნვიდან 8 თვეში წასვლის შესახებ განცხადება დაწერა.

2016 წლის 22 ნოემბერს მარშანი, დე-ფაქტო პარლამენტმა აირჩია, თუმცა 8 თვის განმავლობაში, ე.წ. ინსტიტუტის ფუნქციონირებისთვის ოკუპირებული აფხაზეთის ბიუჯეტიდან ვერც თანხების გამოყოფა მოხდა და ვერც შესაბამისი ფართის ან ოფისის გადაცემა.

ე.წ. პოსტის დატოვების მიზეზად მარშანმა სწორედ ეს ფაქტორები დაასახელა.

“ჩვენ ვმუშაობთ მოხალისეებად. ფინანსების არქონა შეუძლებელს ხდის ჩვენს დამოუკიდებელ საქმიანობას” (**01.08.2017**<https://www.ekhokavkaza.com/a/28653154.html>)

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში, სოციალურ ქსელებში, კერძოდ ფეისბუქზე ყველაზე აქტიურად განიხილებოდა აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების მოღვაწეობა. ე.წ. პროგრესულად მოაზროვნე აფხაზი ეროვნების ფეისბუქ მომხმარებლებში და ინტელიგენციის წარმომადგენლებში განსაკუთრებული აღზფოთება გამოიწვია ე.წ. „ანონიმების“ პუბლიკაციებმა. კერძოდ, ვინმე Timur Kodory-ს მიერ გავრცელებულმა დოკუმენტებმა, სადაც, მისი აზრით, ასახულია აფხაზეთის ე.წ. სუვერენიტეტის ძირგამომთხრელი საქმიანობა, რომელშიც აფხაზი ეროვნების ადამიანები ქართველებთან ერთად არიან ჩართულნი. კერძოდ, საუბარია ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი ინიციატივა COBERM-ის შესახებ, რომელიც საგრანტო პროგრამის მეშვეობით ხორციელდება. COBERM-ი მხარს უჭერს ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების ინიციატივებსა და საქმიანობას სხვადასხვა სფეროში, მათ შორის კონფლიქტით დაზარალებული

ადამიანების ცხოვრებისა და კონფლიქტით დაზარალებული თემების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიმართულებით.

ე.წ. ანონიმების თავდასხმის მთავარი ადრესატი სოციალურ ქსელებში „ჰუმანიტარული პროგრამების ცენტრი“ და მისი თანამშრომლებია, რომელთაც ღიად სდებენ ბრალს უცხო ქვეყნის (მათ შორის საქართველოს) სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში. ამ ბრალდებებმა დიდი რეზონანსი გამოიწვია აფხაზურ საზოგადოებაში, რადგან „სამშობლოს მოღალატეებად“ დასახელებულნი არიან ოკუპირებულ აფხაზეთში ცნობილი ადამიანები (ჟურნალისტები, მწერლები, მეცნიერები). არსებობს აზრი, რომ ე.წ. რესპუბლიკაში მოქმედ სამოქალაქო სექტორსა და „ჰუმანიტარული პროგრამების ცენტრზე“ განხორციელებული ზეწოლა ემსახურება საზოგადოებრივი აზრის შემზადებას კანონის მიღების წინ, რომლის თანახმადაც არასამთავრობო ორგანიზაციები „უცხო ქვეყნის აგენტებად“ გამოცხადდებიან. სოციალურ ქსელში ხშირად გვხვდება პუბლიკაციები, სადაც ვკითხულობთ, რომ ეს კანონი უკვე დიდი ხანია ე.წ. პარლამენტში დევს და მხოლოდ რატიფიცირებას ელოდება.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები გვამღევეს საშუალებას დავასკვნათ, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე პოლიტიკური, ადამიანის უფლებების დაცვის და ჩავარდნილი ტურისტული სეზონის ფონზე სოციალ-ეკონომიკური კუთხით მდგომარეობა არასტაბილურია.

აფხაზი ეროვნების მოსახლეობის უმეტესობა თვლის, რომ 2017 წლის 8 აგვისტოს ვლადიმერ პუტინი სოხუმში ჩავიდა რაულ ხაჯიმბასთვის დირექტივების მისაცემად. სწორედ ამ მიზეზით არ გახმაურდა ვლადიმერ პუტინისა და რაულ ხაჯიმბას ბიჭვინთაში 2 სთ-იანი შეხვედრის დეტალები. სავარაუდოდ რუსეთის პრეზიდენტმა ე.წ. რესპუბლიკის ლიდერს დაავალა ოკუპირებულ აფხაზეთში რუსული კაპიტალდაბანდებისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნა. ოკუპირებული აფხაზეთის მოქალაქეების აზრით, სწორედ ამ მიზეზით არის უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე უძრავი ქონების გასხვისებაზე მორატორიუმის მოხსნის თემის გააქტიურება (საკონტაქტო პირის მიერ მოწოდებული ინფორმაცია).

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ჩავარდნილი ტურისტული სეზონი, აზიური ფაროსანას მიერ მოსავლის განადგურება და ზაფხულის წყალდიდობებით მიყენებული ზარალი ოკუპირებული აფხაზეთის მოსახლეობის ცხოვრების დონეზე უარყოფითად აისახება. სავარაუდოდ, დამძიმებული სოციალური სიტუაციის ფონზე, 2017 წლის შემოდგომის დასასრულს, ე.წ. ოპოზიციური პარტიები ისევ დაიწყებენ აქტიურობას. შესაძლოა დაიწყოს სამოქალაქო საზოგადოების საპროტესტო მიტინგების, „პოლიტიკური პარტიების“ გამოსვლების და ყრილობების ახალი ტალღა, რის საშუალებასაც, ე.წ. ხელისუფლების მიმართ მკვეთრად გამოხატულ უნდობლობასთან ერთად, ოკუპირებულ აფხაზეთში არსებული მძიმე პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ფონი იძლევა.

სავარაუდოდ ამ ახალ საპროტესტო გამოსვლებში ლიდერებად არ იქნებიან წარმოდგენილნი აფხაზური საზოგადოების აზრით, ისეთი დისკრედიტირებული პოლიტიკოსები, როგორებიცაა ასლან ბჟანია და ალმას ჯაპუა. ასლან ბჟანიას პრეტენზიად უყენებენ 2016 წლის დეკემბერში საპროტესტო გამოსვლების დროს ე.წ. ხელისუფლებასთან გარიგებას (დე-ფაქტო ხელისუფლებამ და ე.წ. ოპოზიციამ 2016 წლის 16 დეკემბერს ხელი მოაწერეს „საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტაბილურობის შესახებ“ შეთანხმებას. აღნიშნულ დოკუმენტს ხელი მოაწერეს ოკუპირებული აფხაზეთის პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ, დე-ფაქტო პარლამენტის სპიკერმა ვალერი ბგანბამ და ე.წ. „ოპოზიციურ ძალთა ბლოკის“ ლიდერმა ასლან ბჟანიამ). მაშინ ე.წ. ოპოზიციამ აიღო ვალდებულება არ მოითხოვოს მოქმედი პრეზიდენტის ვადამდელი გადადგომა (<http://www.abkhazinform.com/item/5063-parlament-vystupit-garantom-realizatsii-soglasheniya-ob-obshchestvenno-politicheskoi-stabilnosti-kotoroe-podpishut-vlasti-i-oppozitsiya>) რაც შეეხება ალმას ჯაპუას, მისი ძმის მიერ ჩადენილი საშინელი დანაშაულის ((22.06.2017(<https://jam-news.net/?p=45621&lang=ru>)) შემდეგ, დატოვა ე.წ. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის „აინარის“ რიგები და შეწყვიტა პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა.

ხაზგასმით აღსანიშნავია, დღევანდელი დღის მდგომარეობით, აფხაზურ საზოგადოებაში არის საუბარი იმის თაობაზე, რომ მხოლოდ ბატალ ტაბალუას (2016 წლამდე ოკუპირებული აფხაზეთის ცსკო-ს თავმჯდომარე) აქვს ძლიერი, პრინციპული ადამიანის სახელი (საკონტაქტო პირის მიერ

მოწოდებული ინფორმაცია), რომელსაც შეუძლია ე.წ. ამომრჩეველის ნდობის მოპოვება, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ თვითონ მოინდომა და უარი თქვა თავის ბიზნესზე (ქალაქ გაგრის თითქმის ყველა სასტუმროს მფლობელია) და წავიდა პოლიტიკაში. დანარჩენ არცერთ აქტიურ თუ ჩრდილში მყოფ პოლიტიკოსს არ შეუძლია ოკუპირებული აფხაზეთის მოსახლეობის კონსოლიდაცია არსებული ვითარების შესაცვლელად და ამიტომაც, საპროტესტო აქციები უფრო სპონტანური და სტიქიური ხასიათის იქნება.

15.09.2017